

## ბრძანება



MES 4 22 0001042800



09/09/2022

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 21 ივლისის №8 29594 ბრძანებაში „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების) განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის #124/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის #227 ბრძანებით დამტკიცებული "სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის" საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 21 ივლისის №829594 ბრძანებაში „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების) განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის მიზნით,

### გბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 21 ივლისის „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების) განსაზღვრის შესახებ“ №829594 ბრძანებაში, დაემატოს 1<sup>1</sup> ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1<sup>1</sup>: 1.ა) მაგისტრანტთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია: 03 ოქტომბერი - 17 ოქტომბერი 2022 წ.;

ბ) შემოდგომის სემესტრის ხანგრძლივობა: 03 ოქტომბერი - 17 თებერვალი;

გ) გაზაფხულის სემესტრული რეგისტრაცია: 27 თებერვალი - 13 მარტი;

დ) გაზაფხულის სემესტრის ხანგრძლივობა: 27 თებერვალი - 28 ივლისი

2.ა) მაგისტრანტთა შემოდგომის სემესტრული რეგისტრაცია: 19 სექტემბერი - 03 ოქტომბერი 2022წ.;

ბ) შემოდგომის სემესტრის ხანგრძლივობა: 19 სექტემბერი - 24 თებერვალი;

- გ) გაზაფხულის სემესტრული რეგისტრაცია: 27 თებერვალი - 10 მარტი;  
დ) გაზაფხულის სემესტრის ხანგრძლივობა: 27 თებერვალი - 21 ივლისი. “

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსს ნ. ვეფხვაძეს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება დაეგზავნოს: ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს, ყველა ფაკულტეტის დეკანატს, ეკონომიკურ დეპარტამენტს, ყველა სასწავლო დეპარტამენტს.
5. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

კანცლერი

